



**ფინანსური
აუდიტის
ანგარიში**



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„კამპიციეზი“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

29 ნოემბერი 2019 წელი
N 62/36

ეგზ.: N1

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
დანართები	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	6
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	7
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	17
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	24
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	26
	საკონტაქტო ინფორმაცია	34

ტერმინები და შემოკლებები

ახალგორი – სსიპ – ახალგორის ზავშეთა საადმინისტრაციო დაწესებულება.

დახმარების ცენტრი – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია.¹

ლტოლვილთა სამინისტრო – ყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

რეგულირების სააგენტო – სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში – წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიში.

ფონდი – სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

ცენტრი – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

წარდგენის საფუძვლები – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები.

¹ კონსოლიდირებული ვერსია (19.12.2018 – 13.06.2019).

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 11 ივლისის ცვლილებით,² საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (გარდა დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართულებისა, მიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მიმართულებისა და რეპატრიაციის მიმართულებისა) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

რეორგანიზებული სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

- J ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- J სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- J ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა;
- J მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია;
- J სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;
- J ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება.

2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია³ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ათას ლარებში):⁴

ცხრილი №1. დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტო და საკასო ხარჯი (ათას ლარებში)

დასახელება	დამტკიცებული (1)	დაზუსტებული (2)	საკასო (3)	შესრულება (3/2)
ჯამური	3,528,000	3,530,711	3,555,004	101%
ხარჯები	3,524,906	3,511,904	3,535,305	101%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,094	18,807	19,699	104%

ცხრილი №2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გადანაწილების შესახებ (ათას ლარებში)⁵

საბალანსო ერთეულის დასახელება	საკასო ხარჯი	წილი ჯამურ საკასო ხარჯში
ცენტრალური აპარატი	34,118	1%
სააგენტო	3,395,210	94%
ცენტრი	70,271	2%
დახმარების ცენტრი	41,939	1%
ლტოლვილთა სამინისტრო	78,029	2%
ფონდი	8,103	0%
რეგულირების სააგენტო	3,516	0%
ახალგორი	-	0%

² დოკუმენტის ნომერი: №3024-რს.

³ მოცემულია მხოლოდ 35 00 კოდის შესახებ ინფორმაცია.

⁴ ცხრილი არ მოიცავს საკუთარ სახსრებს, 100%-ზე მეტი შესრულების მაჩვენებლი კი მიღებულია მიზნობრივი გრანტებით.

⁵ ფინანსური ანგარიშგების ფორმა №2-ის მიხედვით ბიუჯეტიდან დაფინანსება/საკასო ხარჯი.

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს,⁶ მოცემული თარიღით დასრულებული საადრიცხვო პერიოდისათვის. გარდა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეული ხარჯებისა.⁷

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

⁷ ელექტრონული პროგრამის აპლიკაცია არ იძლეოდა სამედიცინო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის სრული სახით ექსპორტის (რეპორტის) შესაძლებლობას თითოეული სამედიცინო მომსახურებების ღირებულების მიხედვით; ამასთანავე, განსახორციელებელი აუდიტორული პროცედურების მოცულობიდან და შეზღუდული ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, ვერ შევძელით გონივრული რწმუნების მისაღებად საჭირო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 კონსოლიდაცია

ინსტრუქციის⁸ მოთხოვნების შესაბამისად, კონსოლიდაციის დროს კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები მთლიანად უნდა გამოირიცხოს და ანგარიშგება მომზადდეს ამ ოპერაციების გარეშე. შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არასრულადაა ელიმინირებული სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის ოპერაციები. კერძოდ, შიდა ჯგუფური ოპერაციების თანხა შეადგენდა 17,736,729 ლარს, საიდანაც ელიმინირებულია მხოლოდ 16,676,279 ლარი.⁹

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2018 წლის პირველი იანვრიდან 11 ივლისამდე პერიოდში ლტოლვილთა სამინისტროს ხარჯი, შემოსავალი, ბიუჯეტიდან დაფინანსება და ასევე 2017 წლის ნაშთები და ოპერაციები, მაშინ როცა ყოფილი სამინისტრო კონტროლირებადი ერთეული გახდა 2018 წლის 11 ივლისის შემდეგ.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 და №2) გაზრდილია საწყისი ნაშთები და წინა წლის ოპერაციები, კერძოდ: აქტივები – 147,434,795 ლარით, ვალდებულებები – 4,631,820 ლარით, კაპიტალი – 142,802,975 ლარით, შემოსავლები – 583,977 ლარით და ხარჯი – 111,332,276 ლარით;¹⁰

ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №2) გაზრდილია მიმდინარე პერიოდის ბიუჯეტიდან დაფინანსება, შემოსავალი და ხარჯი, შესაბამისად, 57,763,471 ლარით, 1,849,753 ლარით და 22,475,790 ლარით.¹¹

1.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს მოკლევადიანი მოთხოვნების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი №3. ინფორმაცია სამინისტროს მოკლევადიანი მოთხოვნების შესახებ

დასახელება	ანგარიში	თანხა	თანხა
		31.12.2018	31.12.2017
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	81,233,949	34,190,457
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	112,520,438	52,561,298

მოკლევადიანი აქტივების ძირითადი ნაწილია სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებებისთვის დაკისრებული საჯარიმო სანქციები და მომწოდებელი ორგანიზაციებისთვის წინასწარი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხები.

სააგენტოს 2,079,427 ლარის დებიტორული დავალიანება ზედმეტად აქვს აღრიცხული, რაც გამოწვეულია იმით, რომ საბუღალტრო სამსახურმა ერთი და იგივე დავალიანება (სამედიცინო დაწესებულების საჯარიმო სანქცია) სააღრიცხვო რეგისტრებში ასახა ორჯერ, ორი სხვადასხვა დეპარტამენტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

გაზრდილი მოკლევადიანი მოთხოვნები

⁸ ინსტრუქციის მუხლი 39, პუნქტი 30.

⁹ გამონაკლისის გამოყენების შესაძლებლობა არ დასტურდება არც განმარტებით შენიშვნებში და არც სხვა წყაროებით.

¹⁰ ინსტრუქციის მუხლი 34, პუნქტი 11.

¹¹ ინსტრუქციის მუხლი 39, პუნქტები: 30 და 35.

**შემცირებული
მოკლევადიანი
მოთხოვნები**

სააგენტოს აღრიცხული აქვს გაუქმებული სსიპ-ის შედეგად გადმოცემული 203,945 ლარის დებიტორული დავალიანება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის¹³ მიხედვით კი, აღნიშნული დავალიანების ამოღების ალბათობა ნულია, რაც ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

სააგენტოს არ აქვს აღრიცხული 2018 წელს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში დაფარული 15,175 ლარის დებიტორული დავალიანება.

ლტოლვილთა სამინისტროს არ აქვს შემცირებული „მოთხოვნები წინასწარი ანგარიშსწორებით“ – თანხით 145,647 ლარი. აღნიშნული 2018 წელს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაა.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 2,444,194 ლარით.¹⁴

სააგენტოს არ აქვს აღრიცხული მოთხოვნები 2018 წელს შეცდომით გადარიცხული თანხებით, სულ – 55,555 ლარი, რომელიც აღდგენილია ბიუჯეტში 2019 წელს.

არ არის აღრიცხული¹⁵ **ლტოლვილთა სამინისტროს** მიხედვით კონტრაქტორი საწარმოების მიმართ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული 4,031,814 ლარის საჯარიმო სანქცია, საიდანაც 3,974,721 ლარის ჯარიმები დაკისრებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

სააგენტოს 2018 წელს ჩამოწერილი აქვს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების შემოწმების შედეგად დაკისრებული 214,583 ლარის დებიტორული დავალიანება. მოთხოვნის აღნიშნული თანხით კორექტირება განხორციელდა 2019 წელს და ეს ოპერაცია უნდა აისახოს ამავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააგენტოს არ აქვს აღრიცხული შემოსავლების სამსახურის მიხედვით გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემებით საგადასახადო აქტივების ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 79,927 ლარი, რაც ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში მოკლევადიანი აქტივების ნაშთი შემცირებულია 4,381,879 ლარით.¹⁶

მოთხოვნების აღრიცხველობის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების (რესურსების) შესახებ ინფორმაცია არასრულად, არასწორად არის წარმოდგენილი, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის (პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო) მხრიდან ფისკალური პარამეტრების დაგეგმვის პროცესში შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

ამასთანავე, სააგენტოს განმარტებით, მოცემული უზუსტობების ძირითადი ნაწილი გასწორებულია მიმდინარე პერიოდში.

ფინანსურ ანგარიშგებაში – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“, ანგარიშზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

¹³ აღრიცხული დებიტორი ორგანიზაციების წერილები დავალიანებების შესახებ.

¹⁴ ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 1; მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

¹⁵ 972,782.12 ლარი აღრიცხულია პირობით აქტივებში.

¹⁶ ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 1.

მასშტაბის შეზღუდვა ¹²

აღრიცხულია 779,411 ლარის დავალიანება.¹⁷ დანაკლისის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, **ცენტრალური აპარატის** შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები და **ლტოლვილთა სამინისტროს** გადაგზავნილ მასალებზე რეაგირების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია სამინისტრომ ვერ წარმოადგინა; ცენტრალური აპარატის დავალიანების შესახებ ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

ვერ დადასტურდა **ცენტრალური აპარატისა** და **სააგენტოს** დებიტორული დავალიანება, სულ 67 ორგანიზაციის შემთხვევაში, რომელთა დავალიანება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 51,246,404 ლარს. დებიტორული დავალიანების დასადასტურებლად ძირითადი აუდიტორული პროცედურები (გარე დადასტურება) საკმარისი არ აღმოჩნდა და ვერც ალტერნატიული პროცედურების განხორციელება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან სააგენტოს დებიტორული დავალიანების დიდ ნაწილს შეადგენს დავალიანებები, რომლებიც წარმოქმნილია სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობის ფარგლებში დაკისრებული საჯარიმო სანქციებით. თანხების ბიუჯეტში აღდგენას ორგანიზაციები ახორციელებენ ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას საგადახდო დავალებაში არ აქვს მითითებული დავალიანების წარმოქმნის საფუძველი ან არ არის საგადახდო დავალება წარმოდგენილი სააგენტოში, ხაზინის ამონაწერით ვერ ხერხდება იმ დავალიანების იდენტიფიცირება, რომლის დაფარვის მიზნითაც განხორციელდა გადახდა. ცენტრალურ აპარატში კი, დავალიანებები ხანდაზმულია და არ არის განხორციელებული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, არ არის გაფორმებული შედარების აქტები.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში, 2006 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში 1,106 ფიზიკური პირის¹⁸ მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, სულ – 15,198,728 ლარი.¹⁹ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები დახმარებას იღებენ კომისიის²⁰ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ბენეფიციარისთვის ქვეყნის გარეთ სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების მისაღებად გადასარიცხ თანხას. გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება შეთანხმება ბენეფიციართან/მისი ნდობით აღჭურვილ პირთან, რომლის მიხედვით, იგი ვალდებულია გამგზავრების წინ წარმოადგინოს გამგზავრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბილეთი/ჯავშანი), ხოლო მიღებული მომსახურების შემდეგ არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა – ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე ბენეფიციარი/მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულია სააგენტოს აცნობოს საზღვარგარეთ სამკურნალო დაწესებულებების მიერ მისთვის გადარიცხული თანხის არასრულად გამოყენების თაობაზე და არ გამოიტანოს აღნიშნული თანხა სამკურნალო დაწესებულებიდან. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, ბენეფიციარი ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულია, სააგენტოში სრულად დააბრუნოს მისთვის გამოყოფილი თანხა. სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის დროს, რომლის ჩამოწერის საფუძველი არის ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი მომსახურების

¹² აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა დაასკვნას, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

¹⁷ ცენტრალური აპარატის 2010 წლამდე წარმოქმნილი 424,066 ლარი და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლამდე წარმოქმნილი 355,345 ლარი.

¹⁸ ცენტრალური აპარატში 2006-2010 წლამდე პერიოდში – 100 ფიზიკური პირი და სააგენტოში, 2010 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში – 1,006 ფიზიკური პირი.

¹⁹ ცენტრალურ აპარატში – 2,024,027 ლარი, სააგენტოში – 13,174,702 ლარი.

²⁰ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების შესაბამისად შექმნილი კომისია.

დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სამინისტროს, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მისაღებად, შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია. დებიტორული დავალიანების დასადასტურებლად დასტურის წერილი ვერ გაიგზავნა და არც აუდიტის ობიექტს შეუფასებია დებიტორული დავალიანება ინსტრუქციის და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად,²¹ რაც ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2010 წლამდე 6 პირის მიმართ წარმოშობილი 199,530 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას **სააგენტო** არ ფლობს. ამასთანავე, ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, მოთხოვნების ინვენტარიზაციის დროს, ორგანიზაციებთან არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები, რაც ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

შედეგად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) 67,424,073 ლარის მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, სიზუსტესა და სისრულეზე.²²

1.3 მატერიალური მარაგები

სამინისტროს მატერიალური მარაგების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი №4. ინფორმაცია სამინისტროს მატერიალური მარაგების შესახებ

დასახელება	ანგარიშის №	თანხა 31.12.2018	თანხა 31.12.2017
სხვა მატერიალური მარაგები	1620	666,284,251	1,215,245,028

მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილია სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული C ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტები.

ცენტრალურ აპარატს „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 121,285 ლარის მატერიალური მარაგები, რომელიც სამინისტროს შეფასებით, შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარია, რაც ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

სააგენტოს სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების ანგარიშზე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს C ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში 560,645,083 ლარის²³ ვადაგასული მედიკამენტი. ვადაგასული მედიკამენტების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

ცხრილი №5. ვადაგასული მედიკამენტები

დასახელება	რაოდენობა (ცალი) ²⁴
ინტერფერონი	1,222
რიბავირინი	5,547

²¹ ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 37; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605 მუხლი 11, პუნქტი 6.

²² ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 37; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605 მუხლი 11, პუნქტი 6.

²³ საიდანაც, სააგენტოს განმარტებით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,587,637 ლარის მარაგი ინახებოდა არა სააგენტოს საწყობში, არამედ სამედიცინო დაწესებულებებში.

²⁴ ინტერფერონი -ამპულა, რიბავირინი, ჰეპატიერი, სოვალდი და ჰარვონი - აბი.

ზეპატიერი	2,268
სოვალდი	16,834
ჰარვონი	205,003

სააგენტოს განმარტებით, მედიკამენტების ვადის გასვლის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ 2017 წლის ივლისიდან მკვეთრად შემცირდა ბენეფიციართა მომართვიანობა. ასევე პროგრამის ამოქმედების თავდაპირველ ეტაპზე (2015 წელი) ძირითადი სამკურნალო პრეპარატი იყო სოფოსბუვირი (სოვალდი), რომელიც სამკურნალო რეჟიმების მიხედვით, ინიშნებოდა სხვა მედიკამენტებთან (ინტერფერონი და რიბავირინი) კომბინაციით. 2016 წლის თებერვლიდან აღნიშნული პრეპარატი ჩანაცვლდა ახალი თაობის მედიკამენტით – ჰარვონით, რომლის მიხედვით შეიცვალა სამკურნალო რეჟიმები და აღნიშნულმა მკვეთრად შეამცირა თავდაპირველ ეტაპზე გამოყენებული პრეპარატების (სოფოსბუვირი, ინტერფერონი და რიბავირინი) მოხმარება. ასევე სააგენტოს განმარტებით, არსებობს მკურნალობის თვითნებური შეწყვეტის ან გარდაცვალების ფაქტები. ჩართული ბენეფიციარების დაგეგმილი და ფაქტობრივი რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია:

ცხრილი №6. პაციენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი რაოდენობა

წელი	დაგეგმილი რაოდენობა	ფაქტობრივი რაოდენობა	სხვაობა
2015	5,000	5,936	936.00
2016	20,000	21,654	1,654.00
2017	20,000	14,791	(5,209.00)
2018	20,000	10,206	(9,794.00)

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით კი, მკურნალობის რეჟიმების გათვალისწინებით, ვადაგასული მედიკამენტი წარმოადგენს საშუალოდ შემდეგი რაოდენობის პაციენტების სამკურნალო საშუალებას:

ცხრილი №7. პაციენტების წლიური საშუალო რაოდენობა

დასახელება	პაციენტების საშუალო რაოდენობა
ინტერფერონი	85
რიბავირინი	9
ზეპატიერი	27
სოვალდი	167
ჰარვონი	2,033

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – ფორმა №1-ში მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 560,766,368 ლარით.²⁵

მოცემული უზუსტობები ქმნის პროგრამის ფარგლებში მისაწოდებელი სამედიცინო სერვისის მედიკამენტებით უზრუნველყოფის დამახინჯებულ სურათს, ასევე ზრდის მედიკამენტების საჭიროების განსაზღვრის და მისი განაწილების დროს არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

²⁵ ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

1.4 გრძელვადიანი აქტივები

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი №8. ინფორმაცია სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების შესახებ

დასახელება	ანგარიში	თანხა	თანხა
		31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,849,777	4,947,419
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	1,688,894	1,271,011
ძირითადი აქტივები	2100	474,320,494	439,503,966
არაწარმოებული აქტივები	2400	22,904,076	21,791,798

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების ძირითად ნაწილს შეადგენს ცენტრალური აპარატის და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული დაუმთავრებელი აქტივები და ტერიტორიული სამსახურების შენობები, ასევე ცენტრალური აპარატის მიერ ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის 2014 წელს გაცემული 20-წლიანი სესხები.

გაზრდილი გრძელვადიანი აქტივები

ლტოლვილთა სამინისტროს ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 50,509,937 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივი საცხოვრებელი სახლების სახით, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გადაცემულია და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე.

ლტოლვილთა სამინისტროს არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 33,000 ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც კომისიის²⁶ გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაცემულია და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე.

ცენტრალურ აპარატს დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 363,520 ლარის ღირებულების პროექტები. აუდიტის ობიექტის განმარტებით, 3 პროექტის მიხედვით (საპროექტო მომსახურების ღირებულება 361,020 ლარი), სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებულა და მათი შემდგომი გამოყენება შეუძლებელია, ხოლო ერთი პროექტის მიხედვით (საპროექტო მომსახურების ღირებულება 2,500 ლარი), სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, რაც ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) ძირითადი და არაწარმოებული აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილია, შესაბამისად, 50,873,457 ლარით და 33,000 ლარით.²⁷

1.5 ვალდებულებები

სამინისტროს ვალდებულებების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი №9. ინფორმაცია სამინისტროს ვალდებულებების შესახებ

დასახელება	ანგარიში	თანხა	თანხა
------------	----------	-------	-------

²⁶ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის №371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისია.

²⁷ ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

		31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	42,196	46,449
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	42,165,941	45,132,461
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,396,943	2,396,943

შემცირებული ვალდებულება

ვალდებულებების ძირითადი ნაწილია ცენტრალური აპარატისა და სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გაუქმებული სსიპ-ების შედეგად გადმოცემული და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებები.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასანაზღაურებელი შემთხვევების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამედიცინო დაწესებულებების მიმართ **სააგენტოს** აღრიცხველი კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 6,221,673 ლარს, ხოლო, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 463,245 ლარს.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) ფინანსური ვალდებულებების საწყისი ნაშთი და საბოლოო ნაშთი შემცირებულია, შესაბამისად, 6,221,673 ლარით და 463,245 ლარით.²⁹

მასშტაბის შეზღუდვა²⁸

ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2004 წლიდან 2010 წლამდე წარმოქმნილი 4,413,295 ლარის³⁰ ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს ან არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე. ცენტრალური აპარატის დავალიანების შესახებ ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

დასტურის წერილის გასაგზავნად **ცენტრალური აპარატის** და **სააგენტოს** კრედიტორული დავალიანების რეესტრებიდან შერჩეულია 68 ორგანიზაცია, რომელთა დავალიანება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 25,994,261 ლარს. ცენტრალურ აპარატს არ გაუგზავნია დასტურის წერილები მათი ხანდაზმულობის გამო, ხოლო სააგენტოს 47 ორგანიზაციიდან, პასუხი მიღებულია 10 ორგანიზაციიდან, საიდანაც დადასტურდა მხოლოდ ერთი ორგანიზაციის ნაშთი – 524,840 ლარი, სხვა შემთხვევებში კი გამოვლენილია არსებითი სხვაობები.

კრედიტორული დავალიანების დასადასტურებლად ძირითადი აუდიტორული პროცედურები (გარე დადასტურება) საკმარისი არ აღმოჩნდა და ვერც ალტერნატიული პროცედურების განხორციელება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან სააგენტოს კრედიტორული დავალიანების დიდი წილი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებებია. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა სამედიცინო დაწესებულებებს შეუძლიათ 3 საანგარიშგებო თვის ვადაში. შესაბამისად, მათ აღრიცხვაში ასახულია ის დავალიანებები, რომელთა წარმოქმნის საფუძველი ორგანიზაციას სამინისტროში ასანაზღაურებლად არ

²⁸ აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა დაასკვნას, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

²⁹ ინსტრუქციის მუხლი 73, პუნქტი 1.

³⁰ ლტოლვილთა სამინისტრო – 4,157,236 ლარი და აპარატი – 256,060 ლარი.

წარმოუდგენია, ხოლო ცენტრალურ აპარატში დავალიანებები ხანდაზმული დავალიანებებია და არ არის განხორციელებული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, არ არის გაფორმებული შედარების აქტები;"

შედეგად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) 29,882,716 ლარის საბოლოო ნაშთის კრედიტორული დავალიანების არსებობაზე, სიზუსტესა და სისრულეზე.

1.6 ხარჯი

იმ ძირითად აქტივებზე, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე (იხ. გრძელვადიანი აქტივების ნაწილი) 2018 წელს დარიცხულია ცვეთა – 516,399 ლარი.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №2) ძირითადი კაპიტალის ხარჯი გაზრდილია 516,399 ლარით.³¹

³¹ ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

1.7 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული:

ინფორმაცია იმ შემთხვევების შესახებ, რომლებზეც **სააგენტოში** არ არის დასრულებული ინსპექტირება. ფაქტობრივად კი, სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს ვალდებულება, რომელიც საჭიროებს ვადის და თანხის დაზუსტებას. აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, ანგარიშგების მოდულში 2018 წელს სამედიცინო დაწესებულებების დაფიქსირებული შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება, რომელთა ინსპექტირებაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო დასრულებული, შეადგენდა 201,299,806 ლარს. ასევე წარმოდგენილი ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი ასანაზღაურებელი თანხებიდან, საშუალოდ, 3,56% კორექტირდება.

ინფორმაცია **სააგენტოს** რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს ანაზღაურებული 2018 წლის შესრულებების შესახებ, სულ – 882,570 ლარი.³² ფაქტობრივი მდგომარეობით სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბერს ჰქონდა ვალდებულება, რომელიც საჭიროებდა დაზუსტებას და პირველადი დოკუმენტის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას.

შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 წლის მოსალოდნელი ხარჯი და ვალდებულება 2018 წლის შესრულებების შესაბამისად, შეადგენს 195,016,102 ლარს.³³

არ არის ასახული ინფორმაცია იმ ძირითადი აქტივების შინაარსისა და დანიშნულების შესახებ, რომლებიც **ლტოლვილთა სამინისტროს** შეძენილი აქვს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული საფუძვლით აღრიცხული ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 120,623,024 ლარს, ხოლო დაუმთავრებელი ძირითადი აქტივებისა – 40,258,656 ლარს.

აღნიშნული მოსალოდნელი ვალდებულებების და ძირითადი აქტივების შინაარსის და დანიშნულების შესახებ ინფორმაციის არ წარმოდგენის ფაქტი ფინანსურ ანგარიშგებაში ზრდის ფინანსური ანგარიშგების იმ მომხმარებლების მხრიდან (პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო) არასწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც აფასებენ სამინისტროს მიერ მომსახურების მიწოდების ადეკვატური დონის შენარჩუნებას. არასრულად (შემცირებულად) წარმოდგენილი ინფორმაცია იწვევს სამინისტროზე გასანაწილებელი საბიუჯეტო რესურსის შესახებ არაადეკვატური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და საფრთხის წინაშე აყენებს ბენეფიციარებისათვის სამედიცინო სერვისების, როგორც მიწოდების შესაძლებლობას.

³² თანხაში შედის ასევე „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებიც.

³³ ინსტრუქციის მუხლი 41, პუნქტი 18.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა მუხლი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა მუხლი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცენტრალურ აპარატსა და ლტოლვილთა სამინისტროში არ არის ჩატარებული კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია, ხოლო **დახმარების ცენტრში** მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის შედეგები არ არის გამოყვანილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.³⁴

სააგენტოში სპეცმედიკამენტებისა და ქრონიკული მედიკამენტების ინვენტარიზაცია ჩატარებულია მხოლოდ თბილისში – შპს „სპს-ს ცენტრალურ ბაზას“ და შპს „მედფარმა პლუსში“, მაშინ როცა მედიკამენტები განთავსებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა აფთიაქებსა და სამედიცინო დაწესებულებებში. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მედიკამენტები განთავსებულია 500-მდე ობიექტში, ინვენტარიზაციისთვის საჭიროა ობიექტების დალუქვა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის შეფერხება.

2.2 ინტერესთა კონფლიქტის რისკი

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობისა და სამედიცინო მომსახურების ანაზღაურები მიზნით, სამინისტროში არსებობს მონიტორინგის და ინსპექტირების ეტაპები. **სააგენტოში** აღნიშნული ეტაპების განმახორციელებელი 14 პირი სამსახურებრივ საქმიანობას 2017 და 2018 წლებში ეწეოდა ერთდროულად – როგორც სააგენტოში, ასევე შესამოწმებელ სამედიცინო დაწესებულებებში;

პროგრამების ზედამხედველობის ეტაპებისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი თავისებურებებიდან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული პროცესის განმახორციელებელი ყველა პირის მიერ ისეთი ფუნდამენტური ეთიკური ღირებულების დაცვა, როგორცაა: შესამოწმებელი დაწესებულებისაგან დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების ქონა, ხოლო მეორე მხრივ, ზედამხედველობას დაქვემდებარებულ დაწესებულებასთან ერთდროულად შრომითი ურთიერთობა, შეიცავს ზედამხედველობის განმახორციელებელი და სამედიცინო დაწესებულებების ინტერესების დაპირისპირების მომეტებულ რისკებს.

2.3 ინსპექტირება

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებები გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად სამი თვის ვადაში **სააგენტოში** წარადგენენ შესრულებული სამუშაოს³⁵ დამადასტურებელ დოკუმენტაციას. თანხის ანაზღაურებისთვის, 60 სამუშაო დღის განმავლობაში პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს დოკუმენტაციის ინსპექტირება, ასევე ხარვეზით წარდგენილი შემთხვევები

³⁴ მინისტრის ბრძანება №605, მუხლი 1, პუნქტი 4.

³⁵ ბუნეფიციარისთვის გაწეული მომსახურების.

მიმწოდებელს ელექტრონულად ეგზავნება მთლიან შესრულებასთან ერთად. ხარვეზის აღმოსაფხვრელად და, საჭიროების შემთხვევაში, ნაბეჭდი სახით დოკუმენტაციის განმეორებით წარსადგენად, მიმწოდებელს ეძლევა 5 სამუშაო დღე. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში, შემთხვევები განიხილება როგორც ანაზღაურებას დაქვემდებარებული, ხოლო მითითებულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრელობისას, შემთხვევა არ ანაზღაურდება;

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2018 წლის 1 იანვრიდან და 2019 წლის 1 აპრილამდე გადარიცხვების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების ინსპექტირების ვადები და გამოავლინა შემდეგი:

- ⌋ ინსპექტირების დასრულების ვადა აჭარბებდა დადგენილ ნორმას,³⁶ სულ – 9,770 შემთხვევაში.
- ⌋ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ვადები აჭარბებს დადგენილ ნორმას,³⁷ სულ – 4,490 შემთხვევაში.

მოცემული შეუსაბამობები იწვევს პროგრამის ფარგლებში აღრიცხული წლიური ხარჯის დამახინჯებულ სურათს და ზრდის სამედიცინო სერვისის უწყვეტად მიწოდების რისკებს.

ამასთანავე, აღნიშნული ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

2.4 მონიტორინგი

– **C ჰეპატიტის მართვის** სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2018 წელს 41-მა სამედიცინო დაწესებულებამ დააფიქსირა 25,495 შეტყობინება; მონიტორინგი საერთოდ არ განხორციელებულა 80%-ში, კერძოდ: 33 სამედიცინო დაწესებულებაში, რომელთაც დაფიქსირებული აქვთ 20,095 შეტყობინება, არ შემოწმებულა შეტყობინებათა 79%. ამასთანავე, შეტყობინებები დაფიქსირებულია 9 რეგიონში, საიდანაც 5 რეგიონში მონიტორინგი არ განხორციელებულა.

– 2018 წელს, **საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის** პროგრამის ფარგლებში, 332-მა სამედიცინო დაწესებულებამ დააფიქსირა 1,423,085 შემთხვევა, საიდანაც შემოწმებულია 23%, სულ 333,431 შემთხვევა; მონიტორინგი საერთოდ არ განხორციელებულა 35%-ში, კერძოდ, 115 სამედიცინო დაწესებულებაში, რომელთაც წლის განმავლობაში დაფიქსირებული ჰქონდათ 70,035 შეტყობინება. სააგენტოს განმარტებით, ეფექტური მონიტორინგისთვის შერჩევასას პრიორიტეტი ენიჭება გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების (განსაკუთრებით კომპლექსურ, რამდენიმე პროგრამული კოდის შემცველ და გახანგრძლივებულ) შემთხვევებს, რითაც არის განპირობებული, ძირითადად, ამბულატორიული, დღის სტაციონარის (გეგმური ქირურგიული ოპერაციები, ძირითადად ოფთალმოლოგია), მონოპროფილური შემთხვევების ნაკლებ პრიორიტეტულობა.

– **ჯანმრთელობის დაცვის** პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს 14,250 შეტყობინება დააფიქსირა 43-მა სამედიცინო დაწესებულებამ, განხორციელდა 4,583 შემთხვევის მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ 7 სამედიცინო დაწესებულებაში სულ 1,329 შემთხვევა, თითოეულის მიერ დაფიქსირებული შემთხვევების 84% და მეტი შემოწმდა, მაშინ როცა 11 სამედიცინო დაწესებულებაში, რომლებმაც 1,266 შეტყობინება დააფიქსირეს, მონიტორინგი არ განხორციელებულა. წლის განმავლობაში 43 კონკრეტულ დღეს დაფიქსირებული შეტყობინების შესაბამისად, მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო 303 შემთხვევაში, შემოწმებულია 186 შემთხვევა.

³⁶ 60 სამუშაო დღე.

³⁷ ინსპექტირების – 60-დღიანი ვადა, ხარვეზის – 5-დღიანი ვადა.

მონიტორინგის პროცედურებისათვის სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის არსებული სისტემა წარმოშობს არასამართლიანი და არათანაბარი მიდგომის რისკებს.

ამასთანავე, აღნიშნული ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

2.5 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება


სამინისტროში ხშირად ხორციელდება ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური ასიგნებების გადანაწილებები, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესს – ხშირად ბრუნდება უკან თანხები იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, საიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა. აღნიშნული ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები

წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით 16 პროგრამული კოდის შემთხვევაში, 87,920,387 ლარი გადანაწილებულია სხვა პროგრამებიდან ან სარეზერვო ფონდებიდან, მათ შორის, დეკემბერში – 67,378,729 ლარი. აღნიშნული ქმნის ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტის და დასახული მიზნების შეუსრულებლობის რისკს.

ამასთანავე, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის სამინისტრომ საბიუჯეტო განაცხადით (ქერს ზევით) მოითხოვა 720,000,000 ლარი და დაუმტკიცდა 704,000,000 ლარი. სხვა პროგრამული კოდებიდან გადმოტანილმა თანხამ შეადგინა 56,410,090 ლარი,³⁸ საიდანაც დეკემბერში გადმოტანილია 47,360,090 ლარი. პროგრამის ბიუჯეტი კი მასში განხორციელებული არსებითი ცვლილებების მიუხედავად, წლების განმავლობაში მზარდია.

სქემა №2. დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი (ათასი ლარი)



ასევე გამოვლინდა ბიუჯეტის საბოლოო კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა,

³⁸ მათ შორის, ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ინტეგრირების თანხა – 9,050,000.00 ლარი.

რომელთაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში მაღალი ათვისება აქვთ. კერძოდ:

ცხრილი №11. დაბალი ათვისება (ათასი ლარი)

დაბალი ათვისება

პროგ. კოდი	პროგრამის დასახელება	ბიუჯეტის კანონი (1)	დაზუსტებული გეგმა (2)	ფაქტი (3)	(3)/(1) %	(3)/(2) %
35 02 04 03	სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში – სხვა დანარჩენი კატეგორიებისთვის	7,300	4,452	4,451	61.0%	100.0%
35 03 02 01	დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	1,900	1,293	1,290	67.9%	99.7%
35 03 02 07 02	ტუბერკულოზის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი)	1,423	1,042	968	68.0%	92.9%
35 03 02 07 03	ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა	1,867	1,060	1,058	56.7%	99.8%
35 03 02 12 01	C ჰეპატიტის მართვა	15,400	4,744	4,741	30.8%	99.9%
35 03 04	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება	800	173	171	21.4%	98.6%
35 05 02	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	700	512	479	68.5%	93.6%

მათ შორის, „C ჰეპატიტის მართვა“ (35 03 02 12 01), ასიგნებები ბიუჯეტის კანონით – 15,400,000 ლარის ოდენობით განისაზღვრა. თუმცა ათვისებულ იქნა მხოლოდ 4,741,000 ლარი, 10,656,000 ლარი კი გადანაწილდა სხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი განმარტებით, დაბალი ათვისების მაჩვენებელი გამოწვეულია პაციენტთა რაოდენობის კლებით. აღსანიშნავია, რომ ეს ქვეპროგრამა ბოლო წლებში მუდმივად დაბალი ათვისების მაჩვენებლით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე სამინისტროს არ გაუთვალისწინებია;

ასევე გამოვლინდა შემთხვევები, რომლებიც არ წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ გადასახდელებს და შესაძლებელი იყო მოვლენის/დონისძიების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, კერძოდ:

- სამინისტროს 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით პერიოდში, „სოფლის ექიმის“ პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით გაფორმებული ექიმებისა და ექთნების ერთჯერადი გასაცემლის დასაფინანსებლად აუთვისებელი თანხა „სოციალური უზრუნველყოფის“ და „საქონელი

გაუთვალისწინებელი გადასახდელები

და მომსახურების“ მუხლიდან გადაჰქონდა „სხვა ხარჯების“ მუხლში. აღნიშნულმა თანხამ 2018 წელს შეადგინა 588,000 ლარი.

- ს) მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების** (კოდი: 35 02 02) ქვეპროგრამიდან, სხვა პროგრამებზე გადატანილი ასიგნებების ოდენობამ 39,304,000 ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც სამინისტროს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების (კოდი: 35 02 02) ქვეპროგრამისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2018 წელს მიღებული აქვს 2,688,077 ლარი, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილების შესასრულებლად. აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებისთვის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოყოფილია წინა წლებშიც: 2015 წელს – 1,158,000 ლარი, 2016 წელს – 3,812,079 ლარი და 2017 წელს – 2,789,347 ლარი.

დამტკიცებულ ბიუჯეტში ე.წ. „ბუფერული“/„სარეზერვო“ ხასიათის ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მუხლების არსებობის ხარჯზე ხარჯთაღრიცხვაში ხშირი და არსებითი ხასიათის კორექტირებები აყალიბებს დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრებისაგან განსხვავებულ პრიორიტეტებს და ქმნის დაბალი ლეგიტიმაციის გადაწყვეტილების საფუძველზე ასიგნებების გადანაწილების შესაძლებლობას.

ამასთანავე, აღნიშნული ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

2.6 პროგრამული ბიუჯეტირება

პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილი საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, ნაწილი მოიცავს მხოლოდ ერთი ტიპის ინდიკატორს, მაშინ როდესაც საჭიროა რამდენიმე ტიპის ინდიკატორის შემუშავება დაგეგმილი შედეგების სრულყოფილად შეფასებისათვის. ასევე რიგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო/შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შეფასებას, რადგან ინდიკატორი არარელევანტურია, არასწორადაა ფორმულირებული, ან არ წარმოადგენს ეფექტიანობის საზომს, კერძოდ:

- ს) მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება** (35 02 02) და **სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში** (35 02 04) – პროგრამების მიზნობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს დახმარების დროულად გაცემის მაჩვენებლის შენარჩუნება, მაშინ როცა, დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, ასევე თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.
- ს) სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა** (35 02 05) – ინდიკატორები წარმოდგენილია პროცენტულ მაჩვენებლებში, მაშინ, როცა პროგრამის შესრულება წარმოდგენილია ნომინალურ მაჩვენებელში.
- ს) მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა** (35 03 01) – გამოყენებულია მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც სრულად არ ფარავს პროგრამის მიზნებს: გეოგრაფიულ ან/და ფინანსურ ხელისაწვდომობას. ამასთანავე, ინდიკატორები არ არის გაწერილი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ყველა ღონისძიებაზე, ისეთზე, როგორცაა, მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.
- ს) ჯანმრთელობის ხელშეწყობა** (35 03 02 11) – მიზნობრივი მაჩვენებელია საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება, რომელიც, თავის მხრივ, არ არის

კონკრეტული, წარმოადგენს პროგრამის მიზანს და ვერ უზრუნველყოფს შედეგების შეფასებას.

- ⌋ **ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა** (35 03 03 11) – საბაზისო მაჩვენებელია მედიკამენტების შესყიდვა დაგეგმილი რაოდენობით, ხოლო მიზნობრივი – აღნიშნულის შენარჩუნება. მოცემული ინდიკატორები არ შეესაბამება პროგრამის მოსალოდნელ შუალედურ შედეგს – „არაგადამდები დაავადებების მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებზე 80%-იან ხელმისაწვდომობას“.
- ⌋ **დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება** (35 03 04) – საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი არაშესაბამისია და ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შეფასებას.
- ⌋ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** (35 04) – საბაზისო მაჩვენებელი მოიცავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობას და აღჭურვას 100%-ით, რაც 2017 წელს არ განხორციელებულა, ხოლო მიზნობრივი მაჩვენებელია რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები. აღნიშნული ინდიკატორი არ არის კონკრეტული და ვერ უზრუნველყოფს შედეგის შეფასებას.

ამასთანავე, **მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის** (35 03 01) პროგრამის ამბულატორიული მომსახურების ინდიკატორის შესაბამისად, პროგრამების შესრულების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია და „სოფლის ექიმის“ (35 03 03 08) პროგრამების ამბულატორიული მომსახურების ინდიკატორის შესრულება იდენტურია.

2.7 შრომის ანაზღაურება

ზოგიერთ შემთხვევაში, დასაბუთებებში მითითებული მონაცემები არ იძლევა საშუალებას დადგინდეს, თუ რა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით იქნა მიღებული დასაქმებული პირის წახალისების გადაწყვეტილება ან ვერ ხდება ზეგანაკვეთური/დამატებითი ფუნქციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. კერძოდ, **დახმარების ცენტრის** მოხსენებით ბარათებში ყოველთვიურად გამოყენებულია ერთი და იგივე სტანდარტული ტექსტი, ხოლო **სააგენტოში** მოხსენებითი ბარათები ძირითადად არ არის შედგენილი კონკრეტული პირების მიხედვით და მოიცავს დეპარტამენტის შესრულებულ სამუშაოებს ჯამურად.

ამასთანავე, დეკემბერში დანამატი გაცემულია **სააგენტოს** 3 თანამშრომელზე, რომლებსაც აღნიშნულ თვეში ნამუშევარი დღეები არ უფიქსირდებათ და შესაბამისად, მათზე არ არის გაცემული თანამდებობრივი სარგო. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული გასწორებულია მიმდინარე პერიოდში.

2.8 ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემო

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა იმართება e-Health ინფორმაციული სისტემის საშუალებით, რომელიც მოიცავს სამედიცინო შემთხვევების შესახებ სრულ ინფორმაციას, კერძოდ, პაციენტის მიღებისას სამედიცინო შემთხვევის რეგისტრაციის, შესრულებული სამუშაოს, მიღება-ჩაბარების აქტის და გადასარიცხი თანხების მოდულებს. აღნიშნული სისტემის IT კონტროლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ პროცესების უმეტესობა არ არის ფორმალიზებული და მათი მართვა ხორციელდება არათანმიმდევრულად, კერძოდ:

- ⌋ სააგენტო არ ასრულებს ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო³⁹ მოთხოვნებს. არ არის დანერგილი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, არ არის შემუშავებული

³⁹ საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და ფორმალური პროცედურები.

- J არ არის შემუშავებული ბიზნესის უწყვეტობის გეგმა⁴⁰ და კატასტროფიდან აღდგენის გეგმა.⁴¹ დამატებით არ არის ფორმალიზებული e-Health სისტემის მონაცემთა ბაზის სარეზერვო ასლების მართვის პრაქტიკა და არ ხორციელდება სარეზერვო ასლების პერიოდული ტესტირება. ზემოაღნიშნული გარემოებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს არ აქვს გამოყოფილი ალტერნატიული დატა ცენტრი, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა არსებული ძირითადი დატა ცენტრის დაზიანების შემთხვევაში. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი ადეკვატური კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა.
- J არ არსებობს e-Health სისტემაზე ლოგიკური წვდომის კონტროლების ფორმალიზებული პროცედურები. პრაქტიკაში არ ხორციელდება სისტემის მომხმარებელთა პრივილეგიების გადახედვა პერიოდულად, და ამავდროულად, უწყებებზე არ არის გაწერილი პერსონიფიცირებული მომხმარებლები (ერთი მომხმარებლის ანგარიშს შეიძლება იყენებდეს რამდენიმე პირი). აღნიშნული ზრდის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე არავტორიზებული წვდომის რისკებს.
- J სააგენტოს არ აქვს შემუშავებული პროცედურა სისტემებზე პაჩების ასახვისა⁴² და განახლებების მართვისათვის.⁴³ აღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ინფორმაციული სისტემების ადმინისტრირების, ასევე, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.
- J სააგენტოში არ არსებობს ფორმალური პროცედურები ცვლილებების მართვისათვის. აღსანიშნავია, რომ სააგენტოში სისტემის ცვლილებების განხორციელება ხორციელდება მხოლოდ ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერის საშუალებით, ხოლო დადოკუმენტირება – შესაბამის ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული პროცესი საჭიროებს ფორმალიზებას, ვინაიდან არსებული პრაქტიკა არასაკმარისია და არაადეკვატურია ბიზნესპროცესებზე მორგებული ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

ზოგადი IT კონტროლების მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები არსებით გავლენას ახდენს სააგენტოს სისტემების აპლიკაციის კონტროლების ეფექტიანობაზე. ამასთანავე, ზემოხსენებული კონტროლების საიმედოობა გავლენას ახდენს სააგენტოს სისტემების ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, რაც გულისხმობს მონაცემების მთლიანობას (სისრულე და სიზუსტე), ინფორმაციის კონფიდენციალობასა და სერვისის უწყვეტობას (ხელმისაწვდომობა). შედეგად, კონტროლის გარემოს სისუსტე პირდაპირ მოქმედებს სააგენტოს სისტემაში არსებული მონაცემების სანდოობაზე.

⁴⁰ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (BCP) ორგანიზაციის საპასუხო გეგმაა გადაუდებელ მდგომარეობასა და კატასტროფაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების ფუნქციონირებას. მსგავსი შემთხვევის მაგალითებია: ხანძარი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მოვლენა, რომელიც ხელს უშლის ბიზნესპროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას.

⁴¹ კატასტროფიდან აღდგენის გეგმაში (DRP) წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურული და დადოკუმენტირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს ინსტრუქციებს გაუთვალისწინებელ ინციდენტებზე საპასუხოდ. გეგმა მოიცავს სპეციალურ ღონისძიებებს კატასტროფის შედეგების შესამცირებლად და სასიცოცხლო პროცესების დროულად აღდგენისათვის.

⁴² Patch Management.

⁴³ Update Management.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდენოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- დავასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა


ხელმოწერა


მარიამ ჭოლოკავა
წამყვანი აუდიტორი


თამთა მელქაძე
აუდიტორი


ვიქტორია არუთინოვი
აუდიტორი

ნაზი ჩაგანავა
აუდიტორი









**ფინანსური
ანგარიშგების
ფორმები**

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება		ანგარიში	2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100- 1200	18,059,451	15,242,259
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	81,233,949	34,190,457
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	112,520,438	52,561,298
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	666,284,251	1,215,245,028
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		878,098,089	1,317,239,042
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,849,777	4,947,419
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	1,688,894	1,271,011
120	ძირითადი აქტივები	2100	474,320,494	439,503,966
130	ფასეულობები	2300	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	22,904,076	21,791,798
150	საინვესტიციო ქონება	2500		
160	სულ გრძელვადიანი აქტივები		503,763,241	467,514,194
170	ბალანსი		1,381,861,330	1,784,753,236
180	ვალდებულებები			
190	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
200	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	42,196	46,449
210	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	42,165,941	45,132,461
220	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		42,208,137	45,178,910
230	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,396,943	2,396,943
240	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,396,943	2,396,943
250	სულ ვალდებულებები		44,605,080	47,575,853
260	კაპიტალი			
270	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,333,538,873	1,733,843,080
280	გაუნაწილებელი მოგება	5220	3,871,996	3,488,922
290	დაუფარავი ზარალი	5230	154,619	154,619
300	სულ კაპიტალი		1,337,256,250	1,737,177,383
310	ბალანსი		1,381,861,330	1,784,753,236

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)	
	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ		
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,688,947,979		3,688,947,979	3,446,938,980
020	შემოსავლები (030+040+050+060)	204,850,756	1,564,806	206,415,562	3,206,154,992
030	გადასახადები			-	-
040	სოციალური შენატანები			-	-
050	გრანტები	35,838,476	2,400	35,840,876	11,228,041
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	169,012,280	1,562,406	170,574,686	3,195,098,278
070	ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	35,384	35,384	33,769
080	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	9,432	1,390,414	1,399,846	1,134,012
090	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	33,915,622	771	33,916,393	12,664,043
100	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	134,956,146	8,352	134,964,498	3,181,175,119
110	ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	131,080	127,485	258,565	503,985
120	სულ: (010+020)	3,893,798,735	1,564,806	3,895,363,541	6,653,093,972
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	35,487,960	527,325	36,015,285	37,654,686
150	საქონელი და მომსახურება	83,500,632	554,178	84,054,810	71,984,791
160	პირითადი კაპიტალის მოხმარება	13,870,684	19,882	13,890,566	13,272,629
170	პროცენტი			-	-
180	სუბსიდიები	9,073,422	-	9,073,422	9,727,834
190	გრანტები	41,568,750	-	41,568,750	18,787,238
200	სოციალური უზრუნველყოფა	4,048,566,741	-	4,048,566,741	6,941,745,978
210	სხვა ხარჯები	60,245,339	30,379	60,275,718	322,423,612
220	სულ: (140+150+160+170+180+190+200+210)	4,292,313,528	1,131,764	4,293,445,292	7,415,596,768
230	ფინანსური შედეგი (120-220)	(398,514,793)	433,042	(398,081,751)	(762,502,796)

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(400,304,207)	383,074		(399,921,133)
020 კორექტირებები: ¹	516,759,367	80,117		516,839,484
030 ცვეთა (+)	13,870,684	19,882		13,890,566
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება	15,652,494			15,652,494
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	548,874,391	86,386		548,960,777
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(430,528)	12,645		(417,883)
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(58,271,030)	(43,472)		(58,314,502)
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება	(2,936,644)	4,676		(2,931,968)
090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	116,455,160	463,191	-	116,918,351
100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-		
120 ძირითადი აქტივები				
130 სტრატეგიული მარაგები				
140 ფასეულობები				
150 არაწარმოებული აქტივები				
170 არაფინანსური აქტივების შესყიდვა	114,316,644	14,004		114,330,648
180 ძირითადი აქტივები	114,316,379	14,004		114,330,383
190 სტრატეგიული მარაგები				-
200 ფასეულობები				-
210 არაწარმოებული აქტივები	265	-		265
230 წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(114,316,644)	(14,004)	-	(114,330,648)
240 ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
250 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	97,642			97,642
260 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(4,253)			(4,253)
270 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	93,389			93,389
280 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	2,231,905	449,187		2,681,092
290 ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	14,070,934	1,171,325		15,242,259
300 ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	16,438,939	1,620,512		18,059,451

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

N	დასახელება	ბიუჯეტი	(საანგარიშო წელი) ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	საწყისი ნაშთი	1,733,617,678	3,334,303	1,736,951,981
020	საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებები			-
030	წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	225,402		225,402
040	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	1,733,843,080	3,334,303	1,737,177,383
050	არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	17,236,975	13,868	17,250,843
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	2,102,759		2,102,759
070	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15,134,216	13,868	15,148,084
080	არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	15,313,284	-	15,313,284
090	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	1,295,701		1,295,701
100	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	14,017,583		14,017,583
110	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)	3,713,105	63,836	3,776,941
120	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	3,713,105		3,713,105
130	მოგების გადასახადი		63,836	63,836
140	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(398,514,793)	433,042	(398,081,751)
150	ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080- 110+140)	1,333,538,873	3,717,377	1,337,256,250

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დამტკიცე ბულ და დაზუსტებ ულ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივ) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივ) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმასა შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრი ვ) ხარჯს შორის
010 ხარჯები	3,535,709,000	3,548,802,154	1	3,574,038,839	1	4,292,313,528	1
020 მათ შორის:							
030 შრომის ანაზღაურება	32,650,000	32,362,300	1	35,469,151	1	35,487,960	1
040 არაფინანსური აქტივების ზრდა	107,959,000	114,097,774	1	114,909,140	1	-	-
050 ფინანსური აქტივების ზრდა							
060 ვალდებულებების კლება							

განმარტებით შენიშვნები.

წარმოგიდგინთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური მდგომარეობის შესახებ დაზუსტებულ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებას (ბალანსს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული სამინისტრო განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (ორგანიზაციული კოდი 3500) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტროს (ორგანიზაციული კოდი 3400) უფლებამონაცვლედ, შესაბამისად საწყისი ნაშთი წლის დასაწყისისთვის წარმოადგენს აღნიშნული ორი სამინისტროს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთების ჯამს

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოში მოქმედი აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური შესრულებისა და ფულადი სახსრების ნაკადის შესახებ და ყველა არსებით საკითხში ემთხვევა მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის მოთხოვნებს. ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ფულადი ნაკადების მოძრაობა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის, გრანტის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

არაფინანსური აქტივები ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯების გათვალისწინებით და მათი შეფასება ხდება სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრის გარეშე.

ანგარიშგების დანართი #1-ში #1220 ანგარიშის ნაშთი შეადგენს 1296402 ლარს, სხვაობა სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარებით გამოწვეულია სსიპ “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის” ანგარიშიდან საინკასო დავალებით თანხის ჩამოჭრით.

#1230 ანგარიშზე საბოლოო ნაშთი 478903 ლარის ოდენობით არის ხაზინაში განთავსებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში არსებული თანხები.

მიზნობრივი გრანტის ნაშთი ეროვნულ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს (ანგ. # 1240) შეადგენს 3583401 ლარს (ორგანიზაციული კოდები: 3400 და 3500).

ხაზინის სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხებიდან 12658549 ლარი არის უცხოურ ვალუტაში დონორების მიერ ჩარიცხული მიზნობრივი გრანტი შესაბამისი ლარის კურსით (4707741.51 \$ X 2.6766 + 18829.89 ევრო X 3.0701) ასახულია #1280 ანგარიშზე. დანარჩენი ვალუტა 31596 ლარის ოდენობით (1007.62 \$ X 2.6766 + 3691.48 ევრო X 3.0701) წარმოადგენს სადეპოზიტო თანხებს და აღრიცხულია #1270 ანგარიშზე.

მიზნობრივი გრანტის ნაშთი ლარში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 13823173 (ანგ.#1240 + ანგ.#1280) ლარს. საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია 30361606 ლარი, კურსთა შორის სხვაობით გაიზარდა 813940 ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 28756769 ლარი. საკასო ხარჯი ასახულია # 2, 3, დანართებში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი გრანტის ნაშთია 16241950 ლარი.

ანგარიში # 1370 შედგება სამედიცინო დაწესებულებების შემოწმებების შედეგად გამოვლენილი, სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამებიდან გადარიცხული თანხების კორექტირებით წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

ანგარიშის # 1431 ზრდა გამოწვეულია საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოს თანხების ავანსად გადარიცხვით.

#1432 ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ნაშთი შეადგენდა 17739016 ლარს, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა დანართი #3 შესაბამისად შეადგინა 114330648 ლარი, ხოლო დანართი #5 თანახმად მიღებულია 65471866 ლარის ძირითადი აქტივები, დაიფარა კრედიტორული დავალიანება #3220 ანგარიშზე 34552 ლარი ასევე მოხდა დებიტორული დავალიანების შემცირება - სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა 136100 ლარი.

ანგარიშზე #1511 ასახულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #309 განკარგულების საფუძველზე გაცემული გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები. საიდანაც საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დაბრუნდა 97642 ლარი. დაბრუნებული თანხა ასახულია დანართი #4 – ფინანსური აქტივების კლებაში და ფორმა #3-ში.

ანგარიშის # 3110 ნაშთი შედგება ხაზინაში #1260 ანგარიშზე 10600 ლარის და #1270 ანგარიშზე 31596 ლარისგან. კლება 4253 ლარის ოდენობით ასახულია ფორმა #3-ში.

ანგარიშის # 3333 ასახულია 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის #1235 განკარგულების თანახმად სსიპ "საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან" შექმნილი არამატერიალური აქტივების - მაიკროსოფტის ლიცენზიების ღირებულება.

არასაბიუჯეტო სახსრების შემოსავალში 32 კოდზე არასწორად იქნა ჩარიცხული 9888 ლარი. აღნიშნული თანხა ფაქტიურად წარმოადგენს დებიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით თანხის დაბრუნებას და შესაბამისად დამატებულია #2 დანართში შერეული და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე.

ანგარიშების #2 დანართში ბიუჯეტის ნაწილში გრანტების საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებზე არაფინანსური აქტივების გადაცემით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლში სხვაობა საკასო და ფაქტიურ ხარჯს შორის ძირითადად გამოწვეულია უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების ამავ ექსპანდის პროგრამებში ჩართულ ბენეფიციარებზე ასევე უსასყიდლოდ გადაცემით.

სხვა ხარჯების მუხლით სხვაობა საკასო და ფაქტიურ ხარჯს შორის გამოწვეულია დებიტორის წარმოქმნით და არაფინანსური აქტივების გადაცემით სხვა დონის ორგანიზაციებზე.

ანგარიშების #4 დანართში ასახულია საბიუჯეტო სესხის თანხის დაბრუნება.

ანგარიშების დანართი #5 "არასაოპერაციო შემოსავლებით" აქტივების ცვლილება გამოწვეულია აქტივების აფასებით და მუხლობრივი ცვლილებებით. ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისის ანგარიში შემცირდა დანაკლისიდან აღდგენილი აქტივების ღირებულებით 7612 ლარი და ჩამოიწერა 5363 ლარის ძირითადი აქტივები, ხოლო დანაკლისში გადატანილი იქნა 5913 ლარის აქტივი. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ასახავს ძირითადი აქტივების ფიზიკურ ცვეთას. სხვა მიღებები და სხვა გაცემები ასახავს სადაზღვევო კომპანიებზე ა/მანქანების გადაცემა/მიღებას

უსასყიდლოდ (გრანტით და სხვა შემოსავლებით) მიღებული მედიკამენტების ხარჯვა ხდება სხვადასხვა სამედიცინო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე და ასახულია სოციალური დახმარების მუხლში.

ანგარიშების დანართი #6 ვალუტა/დეპოზიტის აფასებით და მარაგების შექმნისას კურსთა შორის სხვაობით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1772031 ლარი, ხოლო ხარჯმა 601884 ლარი, კურსთაშორის სხვაობით დებიტორული/კრედიტორული დავალიანება არ წარმოქმნილა.

ფორმა #2-ში ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება არ ედრება სახაზინო სამსახურის შესაბამის მონაცემებს 6658038 ლარით, რადგან ზემოაღნიშნული სტრუქტურული ცვლილებებიდან რამდენიმე საბიუჯეტო კოდი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივლისის #1426 განკარგულებით განსაკარგავად გადაეცა სხვა სტრუქტურებს კერძოდ:

საბიუჯეტო კოდი 340105 გადაეცა შერიგების სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 126840 ლარი;

საბიუჯეტო კოდი 34010102 – გადაეცა შერიგების სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 121129 ლარი;

საბიუჯეტო კოდი 34010301 – გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 170849 ლარი;

საბიუჯეტო კოდი 34010103 – გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 198330 ლარი;

საბიუჯეტო კოდი 34010303 – გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 14014 ლარი;

საბიუჯეტო კოდი 34010104 – გადაეცა ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 104840 ლარი;

საბიუჯეტო კოდი 340206 – გადაეცა ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საკასო ხარჯმა შეადგინა 5922037 ლარი;

ფორმა #3 შედგენისას გამოყენებულია ფულადი სახსრების აღრიცხვის პირდაპირი მეთოდი. დებიტორული დავალიანების ზრდა/კლების გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული #1432 და #1511 ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებები და #3220, #3333 ანგარიშებზე რიცხული არაფინანსური აქტივების შექმნით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები.

#3333 ანგარიშზე კრედიტორული დავალიანების წარმოქმნა გამოწვეულია 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის #1235 განკარგულების საფუძველზე სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 23 ოქტომბრის #216/ბ ხელშეკრულების თანახმად 322793 ლარის და 2017 წლის 31 ივლისის გაფორმებული #131/ბ ხელშეკრულების საფუძველზე 2074150 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივის, მაიკროსოფტის ლიცენზიების, მოწოდებით. რადგან სამინისტროს არ ქონდა შესაბამისი ფინანსური რესურსი და ვერ მოხდა ვალდებულების აღება, კრედიტორული დავალიანების ასახვა მოხდა #3333 ანგარიშზე.

ფულადი სახსრების სხვაობა 136100 ლარის ოდენობით გამოწვეულია არაფინანსური აქტივების შექმნისთვის წინა წლებში ავანსად გადარიცხული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებით.

ფორმა #4-ში წინა პერიოდის შეცდომების გრაფაში 225402 ლარი არის წინა წლებში მიზნობრივი გრანტის ფარგლებში შექმნილ საქონელზე გადახდილი დღ-ის ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხა რომლითაც მოხდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გრანტის ნაშთის გაზრდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1830 განკარგულებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვის უფლებით 5 წლით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”. მისი 2018 წლის საქმიანობის ფინანსური შედეგია: საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის მისი კაპიტალი შეადგენდა 32246725 ლარს. საანგარიშო წლის განმავლობაში შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის” კაპიტალი გაიზარდა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 36247146 ლარი. ორგანიზაციის შემოსავალი სულ იყო 9076875 ლარი (მ.შ. საოპერაციო შემოსავალი 8718178 ლარი და არასაოპერაციო 358697 ლარი), ხოლო ხარჯები 10859394 ლარი (მ.შ. საოპერაციო ხარჯი 8706816 ლარი, არასაოპერაციო ხარჯი 171332 ლარი, ცვეთა/ამორტიზაცია 1981246 ლარი). შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა” საანგარიშო წელი დაასრულა ზარალით 1782519 ლარი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	მარიამ ჭოლოკავა - mcholokava@sao.ge თამთა მელქაძე - tmelkadze@sao.ge ვიქტორია არუთინოვი - varutinova@sao.ge ნაზი ჩანგანავა - nchanganava@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE